Professor, Doctor of Medicine, Academician

მეცნიერების ნაწილი ადამიანის ორგანიზმს განიხილავს. როგორც ფაბრიკას, სადაც უნდა გამოიშაფდეს სწორი ფუნქციონირებისას იმდენი რაოდენობის სასარგებლო ნივთიერებები და ამინომჟავები, რომლებიც დაეხმარება მას მოსალოდნელი დაავადებების აცილებაში.

ადამიანის დიდი განმანათლებელი გიორგი გურჯიანი თვლიდა, რომ ადამიანის ორგანიზმში წარმოადგენს სამსართულიან ფაბრიკას, სადაც პირველ სართულზე განთავსებულია მუცელი (ორგანიზმის ენერჯის წყარო), რომელსაც იღებს საკვები და სასმელი მატერიალური მასალებისაგან, მეორეზე – გულმკერდი (ჰაერის სათავსი), მესამე სართული დაეთმო თავის ტვინს (შთაბეჭდილებების ანალიზი).

გურჯიანი ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის წამყვან როლს ანიჭებდა მუცელს, რადგან მასში განთავსებული ორგანოების მუშაობის ხარისხზე დამოკიდებულია ადამიანის ჯანმრთელობა. მუცლის ორგანოების მუშაობა არსებითად ეხმარება გულმკერდისა და თავის ტვინის მუშაობას, მიუხედავად იმისა, რომ მათ გააიხნიათ ერთმანეთისაგან განსხვავებული შრომითი დასაქმება. აზროვნების წერტილს მიღებული „საკვების“ (საჭმლისა და სითხის მასალის) პროცესის მიმდინარეობისას საგრძნობლად უმჯობესდება ორგანიზმის დაცვით-შეგუებითი მექანიზმების ეფექტური ამოქმედება.

მუცელში საჭმლის მომწველელი სისტემის (კუჭი, ნაწლავები, ღვიძლი, კუჭუკანა ჯირკვალი) გამართული მუშაობისას საკვები და სასმელი მასალიდან წარმოიქმნება ცილები (ალბუმინები, გლობულინები), გლიკოგენი (ცხოველური კრახმალი), ლიპიდები (ცხიმის მსგავსი ნივთიერებები), ქოლესტერინი, პროტეინინი, კეპარინი და სხვ. ისინი სხვადასხვა ორგანოებში და ქსოვილებში სისხლით ადვილად ტრანსპორტირდება და გამოიყენება სხვადასხვაგვარი ნივთიერებათა ცვლის პროცესებში და ორგანიზმის სხვადასხვა ორგანოების უჯრედული სტრუქტურების აღდგენა – შენარჩუნებაში. მუცელში მოხვედრილი ნებისმიერი საკვები თავისთავში შეიცავს არამარტო მატერიალურ შემადგენლობას, არამედ ორგანიზმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას (შესახადეობას, სუნს, გემოს და ა.შ.). ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანის თავის ტვინმა რეალურად შეაფასოს ორგანიზ-

მში მიმდინარე ფსიქო-ფიზიკური პროცესები და ცხველმოქმედების ბიოენერგეტიკული დონე.

თავის ტვინს გააჩნია აზროვნება, რომელიც აანალიზებს და არეგულირებს ორგანიზმში (ყველა ორგანოსა და სისტემაში) მიმდინარე ცხოველმოქმედების პროცესებს. გულმკერდისა და მუცლის ორგანოების გამართულ მუშაობაზე დამოკიდებული თავის ტვინის უნარიანობა მიიღოს, შეინახოს, გაანალიზოს და გასცეს აუცილებელი ინფორმაცია ადამიანის ორგანიზმის ნორმალური ცხოველმოქმედებისათვის.

ადამიანი სამყაროს უაღრესად მნიშვნელოვანი რგოლია. ის – სამყაროში მოქმედი ენერჯების დამოუკიდებელი წყაროა. მის მიერ გამოიშვებული ენერჯის ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული მისი ცნობიერებისა და აზროვნების ხარისხზე. ამასთანავე, მაღალი ცნობიერება და სწორი აზროვნება აუცილებელია სამყაროში ადამიანის ჯანმრთელობისათვის და ბედნიერი ცხოვრებისათვის.

ადამიანის მთლიანი ორგანიზმის კომპლექსის შენარჩუნება ბევრად არის დამოკიდებული ჯანმრთელ ნაწლავებზე. ის, არა უბრალოდ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, არამედ ყველაზე დიდი იმუნური ორგანოა, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნაწლავების პირობით – პათოგენური და ჯანმრთელი მიკროფლორა. ფერხდება გარეთა გარემოდან საკმარისი ენერჯის მიწოდება, რაც ხელს უწყობს დაავადების განვითარების პროცესს.

მთავარი მიზეზი, რომელსაც ადამიანი მიყავს დაავადების განვითარებამდე და ადრეულ სიბერებამდე, არ შეივსება არც ჭარბი კვებით, არც ძვირადღირებული წამლებით, არც ძვირფასი კურორტებზე დასვენებითა და ა.შ. ორგანიზმის მიერ მაღალ დონეზე ენერჯის შენარჩუნება შეუძლია მხოლოდ მოძრაობით აქტივობას, შინაგან სულიერ სისუფთავეს და საღ აზროვნებას.

სულის ენერჯია, ანუ ცნობიერება და სხეულის ენერჯია ერთდროულად განაპირობებს ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და სიცოცხლის გახანგრძლივებას. სამყარო პოლოგრაფიულია დროსა და სივრცეში, ანუ ფაქტუალურად სხეულის ნებისმიერ თბიქტში განთავსებულია მთელი ინფორმაცია სამყაროს წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ. რელიგიური ერთი დღით უხილავად არსებობს მრთელ სამყაროში. მაშასადამე, ყოველწამიურად ჩვენში იბადება, ყვავის, ბერდება და კვდება მთელი სამყარო.

ღვთაებრივი სიყვარული ქმნის დროს, დრო ქმნის სივრცეს, სივრცე ქმნის მატერიას, მატერია ორგანიზმს განიცდის და სულ უფრო სულიერი ხდება, ზრდის კავშირების რაოდენობას, სულიერება დროსთან დაკავშირებულ სულიერ გრძნობებზე გარდაიქმნება, ხოლო უმაღლესი გრძნობები – ღმერთისადმი სიყვარულად.

ეს ციკლი ჩვენში ყოველწამიერად იხვეწება და ყველაფერი პირველ წამებში ხდება, როცა ადამიანთან ღვთაებრივი ენერგია მოდის.

ადამიანი, თავისი ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის იყენებს გარემოს იმ ენერგიას, რომელშიც ის ცხოვრობს, სადაც სვამს, სუნთქავს და ჭამს. მეცნიერები თვლის, რომ ის ენერგია, რომელსაც იძლევა ჰაერი წყალი და საკვები, შეადგენს აუცილებელი ენერგიის 25 %-ს. ადამიანის ენერგეტიკული ბალანსის ღრმის წილი კოსმოსურ ენერგიაზე მოდის (მართლმადიდებლებში ეს ღმერთის მადლად აღიქმება, ინდოელი იოგებისათვის-პრანად). კოსმოსური ენერგიის მარაგა დამოკიდებული სუნთქვისა და გულ-სისხლძარღვთა, საჭმლისმომწელებელი, ენდოკრინული და სხვა სისტემებისა და ორგანოების ნორმალური ფუნქციონირება. ამასთან, კოსმოსური ენერგია არის აზროვნების პროცესისა და ფსიქიკური მოქმედების ძირითადი წყარო. ადამიანმა, შეიძლება ნაკლებად იკვებოს და მიიღოს სითხე, მაგრამ ის იყოს ძალზე ჯანმრთელი, როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქიკურად (სულიერად). თუ რაიმე ფაქტორი ხელს უშლის ამ ენერგიის შესვლას ორგანიზმში, მაშინ იწყება მთელი რიგი დარღვევები, რომელსაც მიყვავართ დაავადების წარმოშობამდე. აქედან გამომდინარე, დაბალია ადამიანის ენერგეტიკული პოტენციალი.

ნებისმიერი ადამიანის შეუძლოდ ყოფნა ორგანიზმის ენერგეტიკული დისბალანსით არის გამოპირობებული, რაც შეიძლება იყოს დაქვეითებული იმუნიტეტის, არარაციონალური კვების, შთამომავლური წარმოშობის ან წარსული ცხოვრებიდან ჩვენს ორგანიზმში გადმოსული დაავადებების მიზეზობრივი შედეგი.

ადამიანი ხშირად ავადდება იმის გამო, რომ მის ორგანიზმს გარე გარემოსთან ერღვევა ბიოენერგეტიკული ცვლა, ე.ი. რღვევას განიცდის პირდაპირი და უკუმოქმედების კავშირები. ადამიანის სხეულის ბიოველში წარმოიშობა ე.წ. "საცობები", რითაც ორგანიზმში ფერხდება გარეთა გარემოდან არასაკმარისი ენერგიის მიწოდება და რაც ხელს უწყობს დაავადების განვითარებას. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ადამიანის შეუძლოდ ყოფნა განპირობებულია ორგანიზმის ენერგეტიკული დისბალანსით, რაც შეიძლება გახდეს დაქვეითებული იმუნიტეტის, არარაციონალური კვების, შთამომავლური წარმოშობის ან წარსული ცხოვრებიდან შეძენილი დაავადებების მიზეზობრივი ფაქტორები.

ადამიანი, თავისი ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის იყენებს გარემოს იმ ენერგიას, რომელშიც ის ცხოვრობს, სადაც სვამს, სუნთქავს და ჭამს.

მეცნიერები თვლის, რომ ის ენერგია, რომელსაც იძლევა ჰაერი წყალი და საკვები, შეადგენს აუცილებელი ენერგიის 25 %-ს. ადამიანის ენერგეტიკული ენერგეტიკული ბალანსის ღრმის წილი კოსმოსურ ენერგიაზე მოდის (მართლმადიდებლებში ეს ღმერთის მადლად აღიქმება, ინდოელი იოგებისათვის-პრანად).

კოსმოსური ენერგიის მარაგზეა დამოკიდებული სუნთქვისა და გულ-სისხლძარღვთა, საჭმლისმომწელებელი, ენდოკრინული და სხვა სისტემებისა და ორგანოების ნორმალური ფუნქციონირება. ამასთან, კოსმოსური ენერგია არის აზროვნების პროცესისა და ფსიქიკური მოქმედების ძირითადი წყარო. ადამიანმა,

შეიძლება ნაკლებად იკვებოს და მიიღოს სითხე, მაგრამ ის იყოს ძალზე ჯანმრთელი, როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქიკურად (სულიერად). თუ რაიმე ფაქტორი ხელს უშლის ამ ენერგიის შესვლას ორგანიზმში, მაშინ იწყება მთელი რიგი დარღვევები, რომელსაც მიყვავართ დაავადების წარმოშობამდე. აქედან გამომდინარე, ადამიანის ენერგეტიკული პოტენციალი უპირატესად დამოკიდებულ კოსმოსურ ენერგიაზე.

ჯანმრთელობა დაავადებასთან შედარებით, უნდა იქნეს განიხილული როგორც ზოგადზე მეტი კატეგორია. დაავადების წინა მდგომარეობა და დაავადება წარმოადგენს ჯანმრთელობის კერძო შემთხვევას, როცა მისი ენერგეტიკული დონე დაქვეითებულია ან განიხილა გარკვეული დეფექტები, ხოლო ჯანმრთელობა და დაავადება შორის გამოყოფენ გარდამავალ მდგომარეობას. დაავადება ფორმირდება და მანეფისტირდება მაშინ, როცა ჯანმრთელობის რეზერვები გამოიფიტება. ამგვარად, პერიოდულად ჯანმრთელობის ხარისხის „გაზომვებით“ შეიძლება დაავადების განვითარებამდე პათოლოგიის შეჩერება ღირს ხნით ადრე.

ჯანმრთელობის „სამსართულიანი ფაბრიკას“ რიგი მეცნიერებისა განიხილავს, როგორც XXI საუკუნის რელიგიას, ანუ სულიერი აგრესიის მესამე ტალღას. დღეს, მედიცინა, დაცვით-მოგერიებითი პოზიციიდან უნდა გადავიდეს სოციალურ-კონსტრუქციულზე, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებასა და აქტიურ დღევრძელობას“. ამით პრინციპულად უნდა შეიცვალოს ექიმის როლიც: „დაავადების მკურნალიდან“ ის უნდა იქცეს, „ჯანმრთელობის კონსტრუქტორად“.

ადამიანის არსება შედგება ორი სახეობის მატერიისაგან: ფაქისისა და მკერვისაგან. ადამიანის ფიზიკურ სხეულს აყალიბებს მკერვი მატერია, ხოლო ფაქიზი – მის სულიერ ბუნებას. ფაქიზი სხეული სულის თავისებური გარსია, სიკვდილის დროს ის ტოვებს ფიზიკურ სხეულს, საკუთარი აურის გამოსხივებით. გარდაცვალება სხვა არაფერია, თუ არა ცნობიერების გადასვლა ყოფიერების სულ სხვა საფეხურზე, კონკრეტულად ენერგეტიკულზე. ადამიანებს, ჯანმრთელობის დადგენაც კი შეუძლია, რადგან გააჩნიათ ასტრალური მზერა, რომლის აურითაც მათ შეუძლიათ გამოიცილონ უცარი სიკვდილიც კი. ტიბეტურ „მკვდართა წიგნში“ წერია, რომ ადამიანის სიკვდილს წინ უსწრებს აურის ნათება, რომელიც იშრტება და ქრება. კაცობრიობაში არსებული ყველა სასულიერო მოძღვრება სიკვდილის შემდეგ აღიარებს სიცოცხლის გაგრძელებას. სიკვდილის მომენტში აღინიშნება ბიოლოგიური ქსოვილის რადიო-აქტიური გამოსხივების გაძლიერება, რაც სავარაუდოა, ფაქიზ სხეულს აძლევს უკანასკნელ ბიძგს უკვდავი სული გაამგზავროს სხვა სამყაროში, სადაც გადააქვს ინფორმაცია მომაკვდავის შესახებ, ანუ მარტივად ადამიანის ცნობიერება. მხოლოდ ფიზიკური სხეული კვდება, ცნობიერება კი ენერგეტიკულ დონეზე განაგრძობს არსებობას. ადამიანის ენერგოსისტემას გააჩნია უამრავი შესაძლებლობები, მათ შორის ერთ-ერთი ასტრალური მზერაა, ანუ როგორც მას მოსახლეობაში ეძახიან ე.წ. „მესამე თვალს“. მეცნიერებმა ლაბორატორიული კვლევით ერთი ცნობილი ფაქტი აღმოაჩინეს და დაადასტურეს, რომ სიკვდილის წინ ცოცხალი ორგანიზმის უჯრედები იწყებს რადიოაქტიური სხივების უეცარ გამოტყორცნას. სხივების ეს კონა პოლონელი ფიზიკოსის იანუშ სლავინსკის ვარაუდით ძალიან ძლიერია და თავისი ბუნებრივი მონაცემებით შეუძლია აღბეჭდოს ინფორმაცია მომაკვდავის განვლილი ცხოვრების შესახებ და ამასთანავე შეინახოს ცნობიერებისა და მასხვობის ფრაგმენტებიც.

თანამედროვე საუკუნის ფილოსოფიური იდეოლოგიური პრინციპები უპირატესად ემყარება აღმოსავლური რელიგიების სწავლებას. საერთოდ მეცნიერება წარმოიშვა ანიმიზმისა (ლათ.-ანიმა ნიშნავს სულს. ტერმინი ეფუძნება პირველყოფილ ხალხთა რწმენას, რომ ყველა საგანს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი სული) და ოკულტიზმის (ლათ.- ოცდულტუს ნიშნავს ფარულს, საიდუმლოს, რისგანაც წარმოიშვა მისტიკური მოძღვრების საერთო სახელწოდება) ცნებების ურთიერთშერწყმას. ოკულტიზმის მიმდევრები თვლიან, რომ ბუნებაში არსებობენ ზებუნებრივი იდემაღლი ძალები, რომლებთანაც ადამიანებს შეუძლიათ ურთიერთობა დაამყარონ მაგიური ზემოქმედებით, ჯადოსნობით და ა.შ. აღმოსავლური სიბრძნე გვასწავლის, რომ დედამიწა, როგორც სხვა არსებული პლანეტები შედგება სამი სამყაროსაგან, რომელთაგან პირველი – ფიზიკური სხეულია, მეორე – ფაქიზი სხეულია, ე.წ. ასტრალური (გრძნობების, სურვილების და ემოციების სამყარო) და მესამე – აზროვნების სამყარო ანუ, ცეცხლოვანი, როგორც მას უწოდებენ. სამივე სამყარო ერთმანეთში ერთ მუშტად არის შეკრული (კონცენტრირებული, გაერთიანებული) და წარმოქმნის ე.წ.

თეთრ სხეულს, რომელიც თავისი ფორმით ემსგავსება რუსულ საბავშვო სათამაშოს – “მატრიოშკას”. აქედან გამომდინარე, ჩვენი პლანეტა (დედამიწა) შედგენილია მკვერივი ფიზიკური მატერიისაგან, რომელიც სამყაროში ყველა სამეორ ერთმთლიანობის მექანიზმით მოქმედებს და ამასთან, პლანეტის მოსახლეობა ერთმანეთს ვერ ხედავს და შეიგრძნობს. ისინი ერთი სამყაროდან გადადიან მეორეში, ერთში კვდებიან, მეორეში კი იბადებიან და ა.შ. ადამიანს ყოველ კონკრეტულ სამყაროში თავისი შესაბამისი სხეული გააჩნია და ერთი მდგომარეობიდან გადადის მეორეში. ასე მაგალითად, ადამიანის ფაქიზ სხეულს ძილის დროს შეუძლია მოსცილდეს ფიზიკურ სხეულს და გადავიდეს ასტრალურ სამყაროში. ანალოგიური მოვლენა შეიძლება განვიხილოთ ადამიანის კლინიკური სიკვდილის პროცესში. ძველი ბერძნები ფიზიკურ სხეულს თვლიდა სულის ტანად, ხოლო შუა საუკუნეებში მას სულის საპერობილედაც კი მიიჩნევდნენ.

ჩვენ, მედიცინას განვიხილავთ, როგორც ადამიანის სხეულის მედიცინას და სულის მედიცინის დიალექტიკურ ერთიანობას, რომელიც ინტეგრირებული მიდგომით უნდა განაპირობებდეს სხეულისა და სულის ჯანმრთელობის შენარჩუნებას, ე.ი. ანთროპოკოსმიური მედიცინის ფილოსოფიურ აზროვნებას. საინტერესო ფაქტად რჩება ის, რომ წარსულში ფილოსოფია, რელიგია და მედიცინა ერთმთლიანობის სიბრტყეში განიხილებოდა. ერთი ადამიანი – ექიმი, თავის თავში ყველა ამ ცოდნას აერთიანებდა და ის კარგადაც მკურნალობდა. ამას ჰიპოკრატეს სიტყვებიც ადასტურებს: „ფილოსოფოსი მედიკოსი ღმერთის სადარია. „დღეს კი რა ხდება: ექიმი აკეთებს ოპერაციებს, ინიექციებს, ნიშნავს მედიკამენტებს, ასრულებს სხვადასხვა ინსტრუქციებს და დაკავებულია მხოლოდ ფიზიკური სხეულის პრობლემებით და ნაკლებად აინტერესებს ხელი შეუწყოს ადამიანის ჯანმრთელობის ფორმირებას, მის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

სამყარომ ადამიანი ჯანმრთელობის სიკეთით დაასახურა, რაც მან დედამიწაზე ჯანმრთელი ცხოვრების წესის გატარებით უნდა შეინარჩუნოს. ადამიანი თავის ჯანმრთელობას ძნელად თუ ინარჩუნებს, რადგან ის გარემოცულია მრავალი გარეშე მტრებისაგან, ეს იქნება ვირუსულ – მიკრობული აგრესია, ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორები, სოციალურ-ეკონომი-

კური სიდუხჭირე თუ სხვა. აქედან გამომდინარე, ადამიანის ორგანიზმი უნდა იყოს მუდმივ მზადყოფნაში, რათა დროულად აიცილოს მოსალოდნელი „აგრესია“ და მრავალი სახის გართულებები, შეძლოს შეინარჩუნოს გარეთა გარემოსთან ორგანიზმისა და სუსტემების ფიზიოლოგიური პროცესების წონასწორობა.

ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობის შენარჩუნების „სამსართულიან ფაბრიკაში“ ფიზიოლოგიური პროცესები იმართება კოსმიური გონის (ღმერთის) საშუალებითა და მასზე დაქვემდებარებული ენერგეტიკული ცენტრებით (ჩაკრებით). ეს უზრუნველყოფს პიროვნების სიცოცხლის უნარიანობის და აქტიური შრომით დასაქმების სოციალურ – ეკონომიკურ ზრდას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანი წარმოადგენს ერთის მხრივ ცნობიერებასა და ფსიქიკას (ფიზიკურ სხეულს) და მეორეს მხრივ – სულს ანუ ჩვენს ემოციებს, გრძნობებს, უპირატესად ქვეცნობიერს, სწორედ ეს იგულისხმება ღვთაებრივ მარცვალში, რომელიც უხილავად არსებობს ნებისმიერ ცოცხალ არსებასა და სამყაროს ნებისმიერ ობიექტში. ჯერ კიდევ XV საუკუნეში ზაზა ფანასკერტელი თავის სამკურნალო წიგნში (კარაბადინი), უპირველეს ყოვლისა ტვინს მიიჩნევს აზროვნების ორგანოდ, რომელიც ამავე დროს არეულირებს ადამიანის ორგანიზმის ცალკეული ორგანოების ფუნქციონირებას და როგორც ავტორი აღნიშნავს: ტვინი ღმერთმა სხეულის მეფედ შექმნა... ადამიანის აზროვნება, მოძრაობა და სხვა სასიცოცხლო პროცესები ტვინიდან მიღებული სიგნალებით ხორციელდება.

ადამიანის ორგანიზმის „სამსართულიანი ფაბრიკა“ და მისი ოპერატიული მართვა უნდა დაეფუძნოს ვალეოლოგიური განათლების თეორიულ-პრაქტიკულ კრიტერიუმებს, რომელიც მიმართულია ჰომეოსტაზის შენარჩუნებისათვის, ადაპტური მექანიზმების დროული და ეფექტური მოქმედების ჩართვისათვის და განმტკიცებისათვის, რაც მოითხოვს ოთხი მთავარი პრინციპის დაცვას. ეს ეხება აზროვნებას, მოძრაობას, სუნთქვასა და კვებას.

ვალეოლოგიის წვლილი ჯანმრთელობის პრობლემის გადაწყვეტაში მდგომარეობს, უპირველეს ყოვლისა, მედიცინის პარადოქსების აღმოფხვრაში. მისი ყველანაღ ჯანმრთელობის მიღწევას, ის დაკავებულია დაავადების პრობლემით. თუ დავს ამოცანა მივიღოთ მოწინავე კოსმოსური ტექნიკა, ფული იდება რაკეტომშენებლობაში. თუ საუბარი მიდის რძე – ხორცის მრეწველობის პროდუქტიულობის გაზრდაზე, ფინანსდება სოფლის მეურნეობის დარგი. მაგრამ მედიცინა არ ჩამოგავს ადამიანის მოღვაწეობის სხვა დარგებს: ჯანმრთელობის მიღწევის სურვილის შემთხვევაში ფინანსდება უპირატესად დაავადების პრობლემა. მაგრამ, რამდენადაც მეტ ფულს ვდებთ დაავადებაში, მით მეტად ავადმყოფობენ ადამიანები. ჩნდება ახალი დაავადებები და ახალი წამლები. მაგრამ ჯანმრთელობასთან მას არავითარი კავშირი არა გააჩნია. სამედიცინო მეცნიერება, მიმართავს რა თავის ძალისხმევას დაავადების მიზეზის გამოსავლენად ან მისი განვითარების მექანიზმების დასაღველად, ვერ ხედავს ადამიანს მთლიანობაში, ვერ ამჩნევს ყველაფერს იმას, რაც მოხდა და ხდება ადამიანის ბუნებაში თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში. ვალეოლოგიამ პირველად წამოაყენა ინდივიდუალური ჯანმრთელობა კვლევისა და მართვის დამოუკიდებელ საგნად.

დღევანდელ დროში, გარდა ზოგადად მიღებული ნოზოლოგიური დიაგნოსტიკის მოდელისა (ხასიათი, გავრცელება და პათოლოგიური პროცესის სტადია),

დამუშავებულია ახალი დიაგნოსტიკური მოდელი – ინდივიდის ჯანმრთელობის დონის შეფასება (Апанасенко Г.Л., Попова Л. А., 2000).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვალეოლოგიის წვლილი მედიცინის ზოგად თეორიაში. გარდა ორი ძირითადი მიმართულებისა – დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკისა, წარმოდგენილია მესამე და, ალბათ, მთავარი (მომავალში) ჯანდაცვის მიმართულება ინდივიდის ჯანმრთელობის მონიტორინგი და განმტკიცება.

ლიტერატურა:

1. Брехман И. И. - Введение в валеологию – науку о здоровье, Л., 1987,
2. Долидзе И. Д.- Тайны болезней и здоровой жизни, Дербент, 1998
3. Долидзе И. Д.- Взаимоотношения между врачом и больным, 1997, „Дагестанские Огни“, 3-4;
4. Апанасенко Г. Л., Попова Л. А. – Медицинская Валеология, 2000 Киев, „Здоровье“
5. Долидзе И. Д. - Перспективы применения немедикаментозных методов в реабилитации спортсменов, Материалы Международного Симпозиума „Физические Факторы и здоровье Человека“, Тбилиси, 2002, 81 -82;
6. დოლიძე ივორ, მიქიაშვილი თეიმურაზ – ინვალიდთა კინეზოლოგიის თავისებურებანი, 2008, თბილისი;

7. დოლიძე ი. – ფიზიკური მედიცინა და ზოგადი რეაბილიტაციის მიმართულებები, 2010, თბილისი;

8. დოლიძე ი., – ვალეოლოგია, როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“, საქართველოს სამედიცინო ჟურნალი, 2009, 2 დამატება, 146-148;

9. დოლიძე ი. - ქვეყნის ჯანდაცვის კრახიდან ვალეოლოგიამდე, იმედი +, 2014 №7, 25-27;

10. დოლიძე ი., ჩახუნაშვილი გ. – დაავადების პათოგენეზისა და სანოგენეზის სისტემური ანალიზი, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2013, №15-10-9, 64-66;

11. ჩახუნაშვილი გ. – ინტეგრალური მეცნიერება, როგორც XXI საუკუნის აუცილებლობა (ვალეოლოგია, სანოლოგია), სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2015, №17-12-11, 27-31;

12. დოლიძე ი., ჩახუნაშვილი გ. – ვალეოლოგია, როგორც ჯანმრთელობის ზოგადი თეორია და პრაქტიკა, ბავშვთა კარდიოლოგია, 2016;

13. ჩახუნაშვილი გ., დოლიძე ი., გონგაძე ნ., ფავლე-ნიშვილი ი., ჯანდაცვის, ფარმაციის, ბიომედიცინისა და სპორტის ინდუსტრია, საქართველო 2050. საქართველოს განვითარების სტრატეგია -2015, თბილისი. (პროექტის ხელმძღვანელი ოქუცნაშვილი), 123 -133;

14. დოლიძე ი. – ჯანდაცვის სისტემაში პიპოკრატეს ფიცი სწამთ, მაგრამ ბოლო კი – გასაკვირია, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2019, №21-16 -15, 33 -36

რეზიუმე

ადამიანის ორბანიზმის „სამსართულებანი ფაბრიკის“ ფუნქციონირების არსი

ივ. დოლიძე,
პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი

ბ.ს.ჩახუნაშვილი,
პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი

სამედიცინო მეცნიერება, მიმართავს რა თავის ძალისხმევას დაავადების მიზეზის გამოსაგვინად ან მისი განვითარების მექანიზმების დასადგენად, ვერ ხედავს ადამიანს მთლიანობაში, ვერ ამჩნევს ყველაფერს იმას, რაც მოხდა და ხდება ადამიანის ბუნებაში თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში. ვალეოლოგიამ პირველად წამოაყენა ინდივიდუალური ჯანმრთელობა კვლევისა და მართვის დამოუკიდებელ საგნად.

დღევანდელ დროში, გარდა ზოგადად მიღებული ნოზოლოგიური დიაგნოსტიკის მოდელისა (ხასიათი, გავრცელება და პათოლოგიური პროცესის სტადია), დამუშავებულია ახალი დიაგნოსტიკური მოდელი – ინდივიდის ჯანმრთელობის დონის შეფასება (Апанасенко Г.Л., Попова Л. А., 2000).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვალეოლოგიის წვლილი მედიცინის ზოგად თეორიაში. გარდა ორი ძირითადი მიმართულებისა – დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკისა, წარმოდგენილია მესამე და, ალბათ, მთავარი (მომავალში) ჯანდაცვის მიმართულება ინდივიდის ჯანმრთელობის მონიტორინგი და განმტკიცება.

SUMMARY

THE ESSENCE OF THE FUNCTIONING OF THE HUMAN BODY “THREE-STORY FACTORY”

IG. DOLIDZE,
Professor, Doctor of Medicine, Academician

GS CHAKHUNASHVILI,
Professor, Doctor of Medicine, Academician

Medical science, which makes every effort to identify the cause of the disease or to determine the mechanisms of its development, does not see man as a whole, does not notice everything that has happened and is happening in human nature in the conditions of modern civilization. Valeology has for the first time introduced individual health as an independent subject of research and management.

Nowadays, in addition to the generally accepted model of nosological diagnosis (character, distribution and stage of the pathological process), a new diagnostic model has been developed - assessment of an individual's health level (Apanasenko G.L., Popova L.A., 2000).

The contribution of valeology to the general theory of medicine should be especially noted. In addition to the two main directions - treatment and prevention of diseases, the third and perhaps the main (in the future) health direction of monitoring and strengthening the health of the individual is presented.

სტუდენტების ჯანსაღი კვება სწავლების ყოველდღიურობა, სხვადასხვა ღიაგადაცემის პრევენციისთვის

HEALTHY EATING FOR STUDENTS IS A DAILY ROUTINE FOR THE PREVENTION OF VARIOUS DISEASES

ნინო თოთაძე, პედიატრი, ნუტრიციოლოგი, თსსუ კლინიკის პროფესორი

NINO TOTADZE, pediatrician, nutritionist. Professor of TSMU Clinic

2019 წელს საქართველოში 28740 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, საშუალოდ სულ 30 000 ახალგაზრდა სტუდენტი-თაობა, რომელიც მნიშვნელოვანი სეგმენტია მოსახლეობის. ეს ის პერიოდია, როდესაც იწყება უმეტესად დამოუკიდებელი ცხოვრება, ზრუნვა საკუთარ ბიუჯეტზე, კვებაზე, მათი ნაწილი იწყებს ოჯახურ ცხოვრებას, გვევლინებიან დედის, მამის ამღუაში. ჯანსაღი კვება რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია ყოველი ასაკობრივი ჯგუფისთვის, მაგრამ განსაკუთრებით ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისთვის—რადგან მას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სხვადასხვა დაავადებების პრევენციისთვის.

რა და რამდენი უნდა მივირთვათ?

ენერჯის მოთხოვნილებები დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, ასაკი, სხეულის ზომა, სქესი. ფიზიკურ აქტიურობა. მიუხედავად ამისა ჯანსაღი, დაბალანსებული კვება ყველა შემთხვევაში აქტუალურია.

არასწორი კვება – არაჯანსაღი სისტემატიური საკვების ხშირად მიღება ხშირად ასოცირდება წონის მატებასთან, ნივთიერებათა ცვლის დარღვევასთან, ავადმყოფობისადმი მგრძობიერებასთან და დადებითი ზრდასთან. სხვა გვერდითი მოვლენები მოიცავს დეპრესიის უფრო მაღალ რისკს, შფოთვის, გაღიზიანებას, მენსტრუაციის პრობლემებს, ძილის დარღვევას.

ეს ის ასაკია როცა უნდა ვისარგებოთ იმ სიკეთეებით, რასაც ჯანსაღი კვება ჰქვია, შევძლოთ სხვადასხვა დაავადებების პრევენცია, – არ დაკარგოთ დრო სამკურნალოდ.

ჯანსაღი კვება შესაძლებელია ნებისმიერი ბიუჯეტით. – ვაშლი, ბანანი, სტაფილო, შვრია, შავი შოკოლადი, ... როგორც არ უნდა ჩქარობდეთ დილით შეეცადეთ მიიღოთ საუზმე – აჩუქეთ თქვენს ჯანმრთელობას 10 წუთი თუნდაც ძილის ხარჯზე.

მაშინაც კი, თუ ყოველდღე ერთსა და იმავე დროს ვერ მიირთმევთ, აუცილებლად უნდა მიირთვათ საუზმე, სადილი, ვახშამი. თუ თქვენს კვებას შორის 4 საათზე მეტი დრო იქნება, გაიხსენეთ კვება რეგულარულად სისხლში შაქრის დონის შესანარჩუნებლად. თუ ვერ ახერხებთ სისხლში მისვლას ატარეთ საკვები (ხილი, კრეკერი, იოგურტი, თხილეული, ბოთლით წყალი...)

არ იბვირთ ჩაბრუნებაში

თუ წონაში კლება გსურთ, ეს არ გააკეთოთ შიმშილის ხარჯზე. (დაბალანსებული კვება და ვარჯიში)

სისტემატიურად არ მიმართოთ სწრაფი კვების ობიექტებს.

სასურველი სასმელია წყალი, ნაკლებად ისარგებლეთ ტკბილი გაზიანი სასმელით.

შეზღუდეთ შაქარი, ცხიმი, ცომეული.

ხილი და ბოსტნეული მიირთვით ყოველდღიურად. მიირთვით ცილოვანი პროდუქტები, მოერიდეთ სისტემატიური კვებისთვის ადვილად ათვისებად ნახშირწყლოვანი პროდუქტებს.

აკონტროლეთ ალკოჰოლის მიღება.

ენერჯის გაუმჯობესებისთვის თვითნებურად არ მიიღოთ საკვები დანამატები და ვიტამინები.

ენერჯის მოთხოვნები (კალორია)

ნაკლებად აქტიური ქალი 2000-2200

აქტიური ქალი 2400

ნაკლებად აქტიური მამაკაცი 2400

აქტიური მამაკაცი 3000

ეცადეთ საკვებიდან ათვისოთ ორგანიზმისთვის საჭირო რკინა, კალციუმი

D ვიტამინი და სხვა საჭირო მიკროელემენტები.

რა მივირთვათ? ილუსტრირებისთვის წარმოგიდგინებთ ჯანსაღი პროდუქტების მცირედ ჩამონათვალს შემადგენლობის მიხედვით:

ვაშლი უხვად შეიცავს პექტინს, უჯრედის და გამოირჩევა შაქრის შენელებული ათვისებით, რაც სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა სისტემისთვის და აწესრიგებს შაქრის დონეს სისხლში. მწიფე ვაშლი შეიცავს ვაშლმჟავას, რაც საჭმლის მონელებას უწყობს ხელს. წითელი ვაშლი შეიცავს ისეთ ანტიოქსიდანტებს, რომლებიც ორგანიზმს იცავს ალცჰაიმერის მსგავსი დაავადებებით გამოწვეული ნევროლოგიური დაზიანებისაგან. ყვითელ ვაშლში არსებული პექტინი ორგანიზმის მიერ ჭარბი საკვები ცხიმების ათვისებას უშლის ხელს.

გარგარში არსებული A ვიტამინის ძალიან მაღალი შემცველობა აჯანსაღებს მხედველობას და კანს.

ქლიავის ყველა სახეობა მდიდარია ანტიოქსიდანტებით, კალიუმით, ბეტაკაროტინით და სასარგებლოა საჭმლის მომნელებელი სისტემისთვის.

კივი უხვად შეიცავს უჯრედის და C ვიტამინს.

შავ და წითელ ყურძენში უხვადაა თავმოყრილი ანტიოქსიდანტები. რაც ხელს უწყობს ორგანიზმში ქოლესტერინის ნორმალიზებას და კიბოს უჯრედების განვითარების საწინააღმდეგო თვისება გააჩნია.

შავი მოცხარი იმავე წონის ფორთოხალთან შედარებით სამჯერ მეტი რაოდენობით შეიცავს C ვიტამინს.

მოცვი აქტიური ანტიოქსიდანტების ყველაზე მაღალი შემცველობით გამოირჩევა.

წითელი უოლო დიდი რაოდენობით შეიცავს ბეტა-კაროტინს, C ვიტამინსა და ფოლატს.

მარწყვში არსებული საკვები ნივთიერებები იცავს არტერიის კედლებს ქოლესტერინისაგან.

ლიმონს აქვს ანტიბაქტერიული თვისება.

ლაიმში არსებულ K ვიტამინს არსებული მნიშვნელობა აქვს სისხლის შედეგებისთვის.

ბანანში არსებული კალიუმი აქვეითებს წნევას და სასარგებლოა ძვლოვანი სისტემისთვის.

ავოკადო გამოირჩევა ცხიმის ყველაზე მაღალი შემცველობით, (mcenareuli ცხიმი) შეიცავს ანტიოქსიდანტებს და ანთების საწინააღმდეგო თვისება აქვს.

მწვანე ბროკოლო უფრო მდიდარია C ვიტამინით ვიდრე ციტრუსები.

ყვითელი და წითელი ბუღგარული წიწაკა სამჯერ მდიდარია C ვიტამინით ვიდრე ფორთოხალი.

მიუხედავად იმისა, რომ კიტრის 98% წყალია, იგი ვიტამინებისა და მინერალების მრავალფეროვანი წყაროა.

გოგრის ყველა სახეობას ერთნაირი სასარგებლო და სამკურნალო თვისებები აქვს. გოგრა კარბოჰიდრატის, მაგნიუმისა და ანტიოქსიდანტი კარტენოიდების შესანიშნავი წყაროა. განსაკუთრებით სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა და საჭმლის მომწელებელი სისტემისთვის.

ფოთლოვანი სალათა ფოლატსა და ხსნად უჯრედის შეიცავს, მასში უხვადაა ბეტაკაროტინი. ის გამოირჩევა გამაგრებლებელ, შარდმდენ და დამამშვიდებელ საშუალებად.

მწვანე სატაცური წმენს ორგანიზმს და შეიცავს ანტიოქსიდანტებს, შეიცავს დიდი რაოდენობით B ვიტამინს. მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ქვემო სასუნთ-

ქი სისტემისა და მენსტრუალური პრობლემების დროს.

სტაფილო შეიცავს ბეტაკაროტინს, რომელსაც ორგანიზმი A ვიტამინად გარდაქმნის.

ანტიოქსიდანტები მცენარეული საკვებიდან ყველაზე უხვად თხილენუშია. ნუში, ნივთი, წაბლი, თხილი.

საკვებ რაციონში პარკოსნების ჩართვა შესანიშნავი გზაა ჯანსაღი საჭმლის მომწელებელი სისტემის შესანარჩუნებლად, ქოლესტერინის დონის დასაბალანსებლად და სისხლში შაქრის დონის დასარეგულირებლად. უხვად შეიცავს ცილებსა და უჯრედის, რკინის მდიდარი წყაროა :ღობიო, ოსპი, მუხუნო,...

თევზეულში უხვადაა ომეგა-3 ცხიმოვანები, რაც მნიშვნელოვანია გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემისთვის. პროდუქტი ასევე შეიცავს ჯანმრთელობის პრევენციისთვის აუცილებელ A, D, E, K ვიტამინებს.

რძე ჯანსაღი პროდუქტია, შეიცავს კალციუმსა და D ვიტამინს.

ხორცი ბოთათვისებადი პროტეინების მნიშვნელოვანი წყაროა.

კვერცხი ცილის მნიშვნელოვანი წყაროა,

და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყალი—H2O, ბიოფეროში ყველაზე გავრცელებული ქიმიური ნაერთი ეს საუკეთესო სითხეა, რაც შეიძლება მივიღოთ .ის, თუ რამდენი სითხე სჭირდება ადამიანს, დამოკიდებულია სქესზე, ასაკზე, წონაზე, ფიზიკურ დატვირთვაზე, გარემო პირობებზე, კვებაზე და ა.შ. ნუ გაცვლით მას სხვა სასმელზე

<https://www.bestcolleges.com/resources/student-nutrition/>
<https://www.nhs.uk/live-well/eat-well/healthy-eating-for-teens/>

<https://www.niddk.nih.gov/health-information/weight-management/take-charge-health-guide-teenagers>

<https://www.nidirect.gov.uk/articles/healthy-eating-teenagers>

რეზიუმე

სტუდენტების ჯანსაღი კვება ცხოვრების ყოველდღიურობა, სხვადასხვა დაავადებების პრევენციისთვის

ნინო თოთაძე

პედიატრი, ნუტრიციოლოგი, თსუ კლინიკის პროფესორი

2019 წელს საქართველოში 28740 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, საშუალოდ სულ 30 000 ახალგაზრდა სტუდენტი-თაობა, რომელიც მნიშვნელოვანი სეგმენტია მოსახლეობის.

ჯანსაღი კვება რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია ყოველი ასაკობრივი ჯგუფისთვის, მაგრამ განსაკუთრებით ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისთვის – რადგან მას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სხვადასხვა დაავადებების პრევენციისათვის, რაც შრომაში დეტალურადაა გადმოცემული.

SUMMARY

HEALTHY EATING FOR STUDENTS IS A DAILY ROUTINE FOR THE PREVENTION OF VARIOUS DISEASES

NINO TOTADZE,

pediatrician, nutritionist. Professor of TSMU Clinic

In 2019, 28,740 entrants became students in Georgia, with an average of 30,000 young students, a significant segment of the population. Healthy eating is certainly important for every age group, but especially for children and young people - because it plays an important role in the prevention of various diseases, which are described in detail in the paper.

მწვანე ეს პროდუქტები მივირთვათ ყოველდღე



წითელი შევზღუდოთ მაქსიმალურად



მწითელი მივირთვათ სისტემატიურად არა შევზღუდავად



სკოლამდელი ბავშვის კვება. წყალი და რძე რეკომენდებული სასმელი

MEALS FOR PRESCHOOLERS. WATER AND MILK RECOMMENDED DRINK

ნინო თოთაძე,
თსსუ-ს კლინიკის პროფესორი

NINO TOTADZE,
Clinic Professor of TSMU

კვება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე ყველა ასაკობრივი ჯგუფის გათვალისწინებით. არასწორი კვება და არასწორი დანერგილი პრაქტიკა აისახება ბავშვობის, მოზარდობის და ზრდასრულობის პერიოდებში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყურადღებო პერიოდია ბავშვთა სკოლამდელი ასაკი.

სკოლამდელი ასაკის ბავშვის პროგნოზ ადრეული ასაკის ბავშვის ნორმალური ზრდა-განვითარების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია უზენებელი და ჯანსაღი კვება. ბავშვთა ასაკში ჩამოყალიბებული სწორი კვების ჩვევები და გემოვნება წარმოადგენს ჯანმრთელობის საფუძველს ზრდასრულ ასაკში და საუკეთესო პრევენციას სიმსუქნის, II ტიპის დიაბეტის,

ზოგიერთი ავთვისებიანი სიმსივნის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისათვის.

ბავშვებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს მრავალფეროვანი სურსათის ყოველდღიურად მიღება ოთხივე ძირითადი ჯგუფიდან, ჯანსაღი კვების პირამიდის მიხედვით: ა) პური და მარცვლეული; ბ) ხილი და ბოსტნეული; გ) რძე და რძის ნაწარმი; დ) საქონლის მკვლე ხორცი, ფრინველის ხორცი, თევზი, კვერცხი, პარკოსნები, კაკლოვნები და თესლეული

ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის კვების რეჟიმი უნდა შედგებოდეს 3 ძირითადი კვებისა (საუზმე, სადილი, ვახშამი) და 3 წახემსებისგან (პირველი წახემსება საუზმესა და სადილს შორის („დილის“), მეორე სადილსა და ვახშამს შორის („შუადღის“), მესამე – ვახშამის შემდეგ), დღიური რაციონის ენერგეტიკული ღირებულების გადანაწილებით, შემდეგი სქემის მიხედვით: ა) საუზმე $\approx 20\%$; ბ) დილის წახემსება $\approx 10\%$; გ) სადილი $\approx 30\%$; დ) შუადღის წახემსება (samxari) $\approx 15\%$; ე) ვახშამი $\approx 15\%$; ვ) საღამოს წახემსება $\approx 10\%$.

წახემსება უნდა შედგებოდეს შაქრის ნაკლებად შემცველი ბურღულეულის, თხელ ნაჭრებად დაჭრილი ახალი ხილის, ცხიმის დაბალი შემცველობის რძისა და რძის ნაწარმის მცირე ულუფებისაგან.

საუზმე – ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის აუცილებელია საუზმის რეგულარული მიღება ყოველდღიურად.

საუზმე უნდა შედგებოდეს მინიმუმ ერთი სასმელისა და სამი ძირითადი ელემენტისგან: ა) მარცვლოვანი (puri, ორცხოზობი, მარცვლეულის ფანტელები და ა.შ.); ბ) რძის ნაწარმი (rZe, ყველი, იოგურტი და ა.შ.); გ) ხილი (nedli ხილი, ხილის წვენი, კომპოტი, ხილფაფა და ა.შ.). 3. გამოყენებულ სასმელში უნდა მოიაზრებოდეს წყალი, ხილის წვენი (100%-იანი, შაქრის დამატების გარეშე) ან დაბალი ცხიმოვანობის რძე (Saqrის დამატების გარეშე).

სკოლამდელი ასაკის ბავშვების კვებაზე როცა ვსაუბრობთ, რეკომენდებულია გავითვალისწინოთ:

ბავშვის კვება უნდა იყოს მრავალფეროვანი. ჯანმრთელობისათვის საჭირო ნუტრიენტების მისაღებად, ბავშვი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჯანსაღი კვების პირამიდის მიხედვით შემოთავაზებული სურსათის მრავალფეროვნებით.

ყოველდღიურ რაციონში საკმარისი რაოდენობით შეტანილი უნდა იქნეს მარცვლოვანი პროდუქტები, რომლებიც შეიცავს ჯანმრთელობისათვის აუცილებელ



საკვებ ბოჭკოს, ვიტამინებს, მიკროელემენტებს, ნახშირწყლებს და მინერალებს.

ბავშვმა უნდა მიიღოს საკმარისი რაოდენობის ხილი და ბოსტნეული ყოველდღიურად.

ბავშვთა კვებისათვის შერჩეული უნდა იქნეს დაბალი ცხიმის შემცველობის სურსათი. მიზანშეწონილია, ნაჯერი ცხიმები ნაწარმებზე იქნეს უჯერი ცხიმებით.

შერჩეული უნდა იქნეს მარილის/ნატრიუმის ნაკლები შემცველობის სურსათი. მოხმარებული უნდა იყოს მარილის შეზღუდული რაოდენობა (dReSi <1200 მგ ნატრიუმი/3 გ მარილი). არაგადასაშვებია დაავადებათა განვითარების რისკის შემცირებისა და სიმსუქნის პრევენციის მიზნით, შერჩეული უნდა იქნეს შაქრის ნაკლები შემცველობის სურსათი, მათ შორის სასმელი.

ბავშვის კვება (rogorc ძირითადი კვება, ასევე წახემსება) უნდა განხორციელდეს ერთსა და იმავე დროს ყოველდღიურად, ხოლო, კვების სისწორე ჯამში არ აღემატებოდეს 6-ჯერადს დღეში

საუზმე – ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის აუცილებელია საუზმის რეგულარული მიღება ყოველდღიურად. 2 წელზე მეტი ასაკის ბავშვი საუზმისას რძის პროდუქტების საშუალებით, არანაკლებ 100 მგ კალციუმს უნდა იღებდეს.

სადილი უნდა უზრუნველყოფდეს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ბავშვთათვის ენერჯის (kaloriebis), ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების დღიური საჭიროების 20-30%-ის, ხოლო, კალციუმის, რკინის და A ვიტამინის დღიური საჭიროების 15%-ის მიწოდებას.

წყალი და დაბალი ცხიმოვანობის რძე საუკეთესო სასმელია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. დიდი რაოდენობით მიღებულმა რძემ შესაძლოა ჩაანაცვლოს რაციონის სხვა სურსათი, შეზღუდული უნდა იქნეს სკოლამდელი ასაკის ბავშვების მიერ მოხმარებული რძის რაოდენობა 450 მლ-მდე დღეში.

5 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის დაუშვებელია მცირე ზომის, მაგარი სურსათის მიცემა, როგორცაა, მაგალითად, მთლიანი კაკლოვნები, თესლეულის დიდი მარცვლები.

ყავისა და შავი ჩაი არ შედის რაციონში

ცუდი მადის შემთხვევაში არ არის რეკომენდებული ბავშვის კვება განხორციელდეს დაძალების მეთოდით.

არ არის რეკომენდებული ბავშვს კვების პროცესში მიეცეს სათამაშოები, ან მისი ყურადღება გადატანილ იქნეს სხვა გასართობ კომპიუტერულ თუ სხვა თამაშებზე.

ზაფხულის პერიოდში აქტიური დასვენებისას ბავშვთა სადღეღამისო რაციონის კალორიულობა უნდა გაიზარდოს 10-15%-ით, რაც მიღწეული უნდა იქნეს ძირითადად რძისა და რძის პროდუქტების, ასევე ბოსტნეულისა და ხილის რაოდენობის გაზრდით.

მსოფლიოს ყველა ქვეყნის გამოცდილებით და შექმნილი გაიდლაინებით რეკომენდებულია აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფისთვის წყალი და დაბალი ცხიმოვანობის რძე სასურველ სასმელად. საქართველოში ბავშვების გარკვეული ნაწილი წყალს ნამდვილად მიერთმევს დღის მანძილზე. რაც შეეხება რძის ნაკლებად მნიშვნელოვან პროდუქტად განიხილება, რაც ვფიქრობ არასაკმარისი რეკომენდაციების შედეგია და ითხოვს მეტი რეკომენდაციების გაცემას.

ჯანსაღი კვება და ჯანმრთელობა ბავშვებს.

ბამოყვანული ღრმობა:

- https://www.gesund-ins-leben.de/_data/files/recommendations_toddlers.pdf
- <https://www.who.int/behealthy/healthy-diet>
- <https://www.nhs.uk/live-well/exercise/physical-activity-guidelines-children-under-five-years/>
- <https://www.healthychildren.org/English/healthy-living/nutrition/Pages/Childhood-Nutrition.aspx>
- <https://www.heart.org/en/healthy-living/healthy-eating/eat-smart/nutrition-basics/dietary-recommendations-for-healthy-children>
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838370?publication=0>



რეზიუმე

სკოლამდელი ბავშვის კვება. წყალი და რძე რეკომენდებული სასმელი

ნინო თოთაძე, თსუ-ს კლინიკის პროფესორი

კვება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე ყველა ასაკობრივი ჯგუფის გათვალისწინებით. არასწორი კვება და არასწორი დანერგილი პრაქტიკა აისახება ბავშვობის, მოზარდობის და ზრდასრულობის პერიოდებში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფურადღებო პერიოდია ბავშვთა სკოლამდელი ასაკი.

მსოფლიოს ყველა ქვეყნის გამოცდილებით და შექმნილი გაიდლაინებით რეკომენდებულია აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფისთვის წყალი და დაბალი ცხიმოვანობის რძე სასურველ სასმელად. საქართველოში ბავშვების გარკვეული ნაწილი წყალს ნამდვილად მიირთმევს დღის მანძილზე. რაც შეეხება რძეს ნაკლებად მნიშვნელოვან პროდუქტად განიხილება, რაც ვფიქრობ არასკამარის რეკომენდაციების შედეგია და ითხოვს მეტი რეკომენდაციების გაცემას. ჯანსაღი კვება და ჯანმრთელობა ბავშვებს.

SUMMARY

MEALS FOR PRESCHOOLERS. WATER AND MILK RECOMMENDED DRINK

NINO TOTADZE, Clinic Professor of TSMU

Nutrition has a significant impact on a child's development considering all age groups. Improper nutrition and improperly implemented practices are reflected in childhood, adolescence, and adulthood. One of the most important periods of attention is the preschool age of children.

With the experience of all countries in the world and the guidelines created, it is recommended to use water and low-fat milk for the desired age. Some children in Georgia really drink water during the day. As for milk, it is considered a less important product, which I think is the result of insufficient recommendations and requires more recommendations. Healthy eating and health for children.

კუნთების ზრდის გენეტიკური გზარი, როგორ შევამციროთ მისი გზის მიოსტატინი და რატომ არის აუცილებელი ვცვალოთ სპორტის პროგრამა

GENETIC MARGIN OF MUSCLE GROWTH, HOW TO REDUCE MYOSTATIN IN THE BODY AND WHY IT IS NECESSARY TO CHANGE THE EXERCISE PROGRAM

გივი გოგოძე

ფიზიკური აღზრდის სპორტის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

GIVI GOGODZE,

is an assistant professor at the University of Physical Education

საკვანძო სიტყვები: კუნთის ზრდა, კუნთის შენარჩუნება, მიოსტატინი, ჯანმრთელობა, ფიზიკური აღზრდა, ვარჯიში გამძლეობაზე

ჩვენი კუნთების ზრდას აქვს გენეტიკური ზღვარი. კუნთი ექვემდებარება მიოსტატინის – კუნთების ზრდის რეგულატორის მუდმივ კონტროლს, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს რამდენად დიდი შეიძლება იყოს კუნთები. მიოსტატინი სინთეზირდება კუნთებში, რომელიც კოდირებულია ადამიანის გენებში GDF-8 გენის სახით. ეს გენეტიკური ზღვარი ყველას აქვს სხვადასხვა. როდესაც

კუნთი აღწევს ამ ზღვარს, მიოსტატინი აჩერებს კუნთის შემდგომ ზრდას. თუ მიოსტატინის რაოდენობა შეზღუდულია, კუნთის ზრდის ეს ზღვარი ქრება. სწორედ ამიტომ, რომ ზოგიერთი ათლეტი ადვილად ზრდის კუნთებს და ზოგი დიდი შრომის მიუხედავად ამას ვერ ახერხებს. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ზოგიერთ ჩემპიონს ბოლიბილინგში ბუნებრივად აქვს მიოსტატინის დაბალი დონე, ან საერთოდ არ გააჩნია GDF-8 გენი, რომელიც პასუხს აგებს მის წარმოებაზე. ამ ბოლიბილდერების წარმატება სულაც არ არის განპირობებული ვარჯიშის განსაკუთრებული მეთოდებით.

მომავალში არ არის გამორიცხული შექმნან პრეპარატი, რომელიც შეამცირებს ამ GDF-8 გენის მოქმედებას. ასეთი პრეპარატი დაეხმარება დისტროფიით დაავადებულ ავადმყოფებს და მოხუცებს კუნთების შენარჩუნებაში, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი პრეპარატი არ არსებობს. [1]

კრეატინს გარკვეული დოზით შეუძლია დათრგუნოს მიოსტატინი, კრეატინი არის საქონლის და ღორის ხორცში, მიოსტატინი თრგუნავს გლეუკოზამინს, რომელიც არის ქათმის და საქონლის ხორცში, ასევე ყველში. ზრდის ჰორმონი მიოსტატინის ანტაგონისტია, ამიტომ საჭიროა ხშირი ძილი, დაბალანსებული კვება, ხარისხიანი ცილა თრგუნავს მიოსტატინს. ინსულინიც აჩერებს მიოსტატინის მოქმედებას, ინსულინი, რომლის დონესაც მრავალჯერადი კვება უზრუნველყოფს. მიოსტატინის შემცირება ხდება ძალიანძიური ვარჯიშით და ვარჯიშები საერთო გამძლეობაზე, მაგ. კროსფიტი, კარგია მათი მონაცვლეობა. ნიკოტინი ყველაზე დიდი მტერია მათთვის, ვისაც უნდა მიოსტატინის დათრგუნვა. ნიკოტინი ასევე შლის ცილას და კუნთებს.

საერთოდ არსებობს კუნთის ჰიპერტროფიის 3 ძირითადი სახეობა, მიოფიბრილების,

მიტოქონდრიების და სარკოპლაზმის ჰიპერტროფია. პირველი 2 შეგვიძლია მივაკუთვნოთ მშრალ კუნთოვან მასას, განსაკუთრებით მიოფიბრილების ჰიპერტროფია. ის იზრდება როცა ვზრდით დატვირთვებს, სავარჯიშო წონებს. ამიტომ ვარჯიშის დროს ჩვენ პერიოდულად ვუმატებთ სავარჯიშო წონებს და ჩვენი მიოფიბრილებიც იზრდება.

შემდეგი არის მიტოქონდრიების ჰიპერტროფია – მიტოქონდრიები არის უჯრედების ენერგეტიკული სადგური, ანუ ისინი ახდენენ საკვები ნივთიერებების დაჟანგვას და მეტაბოლიზმის ნარჩენების უტილიზაციას. ჩვენ გვაქვს გლიკოლიტური უჯრედები, სადაც არ არის მიტოქონდრიები და გვაქვს ჟანგვადი უჯრედები მიტოქონდრიებით.

გლიკოლიტური უჯრედებისგან შეიძლება გავაკეთოთ ჟანგვადი უჯრედები, ანუ გლიკოლიტურ უჯრედებში შეიძლება გაჩნდეს მიტოქონდრიები და თანაც მათ შეუძლიათ გაზრდა მოცულობაში. მიტოქონდრიების გაზრდა შესაძლებელია შესასრულებელი სამუშაოს მოცუ-

ლობის გაზრდით, ვარჯიშების გამეორებების გაზრდით, ანუ ვარჯიშები გამძლეობაზე. ასეთი ტიპის ვარჯიშშია, მაგ., კროსფიტი, როდესაც საჭიროა დიდი რაოდენობის გამეორებების გაკეთება მოკლე დროში.

მესამე ტიპის ჰიპერტროფია არის სარკოპლაზმური. უჯრედებში არის საკვები ნივთიერებების მარაგი და ეს მარაგი შეიძლება გაიზარდოს ანუ, როცა ვარჯიშის დროს დაიხარჯება საკვები ნივთიერებების რაღაც რაოდენობა, აღდგენისას ნორმალური კვების შემთხვევაში ეს მარაგი აღდგება მცირე ნაშაბით, ანუ მოხდება სუპერკომპენსაცია და საკვები ნივთიერებები უჯრედებში იქნება მეტი. სარკოპლაზმური ჰიპერტროფიის საფუძველი იქნება ზომიერი ვარჯიშით 10-12 გამეორების ფარგლებში. თუ ვარჯიშში იქნება ძალიან ინტენსიური და თქვენ დახარჯავთ ვერ გლიკოვენს, შეიძლება ვერ მოესწროს აღდგენა, ანუ ძალიან დიდი მოცულობა დაიხარჯა. ამიტომ მაღალი ინტენსიური ვარჯიში გამძლეობის გაზრდისთვისა და შესაბამისად მიტოქონდრიების ჰიპერტროფიისთვის. ამრიგად სარკოპლაზმის ჰიპერტროფიისთვის გამოიყენება ზომიერი ვარჯიში 10-12 გამეორებების ფარგლებში.

დასკვნა

კუნთის კომპლექსური განვითარების და სრულფასოვანი ზრდისთვის საჭიროა სავარჯიშო პროგრამების მონაცვლეობა. უნდა გამოვიყენოთ 10 გამეორებაზე ნაკლები გამეორებებიც

და 12 გამეორებაზე მეტიც. 15-20 გამეორება იმისათვის, რომ განვივითაროთ ყველა თვისება – ძალაც და გამძლეობაც და საშუალება მივცეთ მიოფიბრილების და მიტოქონდრიების ჰიპერტროფიას და ასევე სარკოპლაზმის გაზრდას. სავარჯიშო პროგრამების მონაცვლეობა შეიძლება სხვადასხვანაირად. ძირითადად, შეიძლება ვცვალოთ პროგრამები კვირიდან კვირამდე. ერთი კვირა გამძლეობაზე ბევრი გამეორებებით, მეორე – ძალაზე 6-8 გამეორებამდე და მესამე – ზომიერი 10-12 გამეორება.

ბამოყენებული ლიტერატურა:

ფიტნესი თქვენი ჯანმრთელობისთვის, გ. გოგოძე, თბილისი 2018 – 45 გვ.

რეზიუმე

კუნთების ზრდის ბენეფიკური ზღვარი, როგორ შევამციროთ ორბანიზმში მიოსტატინი და რატომ არის აუცილებელი ვცვალოთ სავარჯიშო პროგრამა

გივი გოგოძე

ფიზიკური აღზრდისა სპორტის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

კუნთის კომპლექსური განვითარების და სრულფასოვანი ზრდისთვის საჭიროა სავარჯიშო პროგრამების მონაცვლეობა. უნდა გამოვიყენოთ 10 გამეორებაზე ნაკლები გამეორებებიც და 12 გამეორებაზე მეტიც. 15-20 გამეორება იმისათვის, რომ განვივითაროთ ყველა თვისება – ძალაც და გამძლეობაც და საშუალება მივცეთ მიოფიბრილების და მიტოქონდრიების ჰიპერტროფიას და ასევე სარკოპლაზმის გაზრდას. სავარჯიშო პროგრამების მონაცვლეობა შეიძლება სხვადასხვანაირად. ძირითადად, შეიძლება ვცვალოთ პროგრამები კვირიდან კვირამდე. ერთი კვირა გამძლეობაზე ბევრი გამეორებებით, მეორე – ძალაზე 6-8 გამეორებამდე და მესამე – ზომიერი 10-12 გამეორება.

SUMMARY

GENETIC MARGIN OF MUSCLE GROWTH, HOW TO REDUCE MYOSTATIN IN THE BODY AND WHY IT IS NECESSARY TO CHANGE THE EXERCISE PROGRAM

GIVI GOGODZE,

is an assistant professor at the University of Physical Education

Exercise programs need to be alternated for complex muscle development and full-fledged growth. We should use less than 10 repetitions and more than 12 repetitions. 15-20 repetitions to develop all the features - both strength and endurance, and to allow hypertrophy of myofibrils and mitochondria, as well as an increase in sarcoplasm. Exercise programs can be alternated in different ways. Basically, we can change programs from week to week. One week with many repetitions of endurance, the second with 6-8 repetitions of force, and the third with moderate 10-12 repetitions.

სოციალური მედიის მნიშვნელობა და გამოყენება სპორტული ორგანიზაციებისა და კლუბებისთვის

THE IMPORTANCE AND USE OF SOCIAL MEDIA FOR SPORTS ORGANIZATIONS AND CLUBS

ქეთევან გოგოძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

KETEVAN GOGODZE,

Doctoral student of the Faculty of Engineering Economics,
Media Technologies and Social Sciences of the Georgian Technical University

საკვანძო სიტყვები: სოციალური მედია, სპორტი, სპორტული ორგანიზაციები, სპორტული კლუბები, ციფრული მედია

სოციალური მედიის მნიშვნელობა და გამოყენება სპორტული ორგანიზაციებისა და კლუბებისთვის

